№ 199

ხუთშაბათი, 25 სექტემბერი, 1897 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 8 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1897

# ივერია

№ 199

ხუთშაბათი, 25 სექტემბერი, 1897 წ.

რედაქცია:

ნიკოლოოზის ქუჩა, 21.

ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**

და განცხადებათა დასაბეჭდად

უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:**

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტფილისის სასოფლო სამეურნეო საურთიერთო ნდობის

## საზოგადოებისაგან

კრედიტის გასაადვილებლად და დამფასებელთა მისვლა-მოსვლისათვის საჭირო ხარჯის შესამცირებლად საზოგადოების მმართველობამ ამ შემოდგომიდგან მიიღო წესად: ჰგზავნოს ხოლმე სოფლებში აგენტები დასათვალიერებლად და დასაფასებლად ჭირნახულისა, როცა რომელიმე მაზრიდგან საკმაოდ მოგროვდება სესხის მსურველთა თხოვნა.

ამის გამო მმართველობა მოიწვევს საზოგადოების წევრთ, რომელთაც ფულის გატანა ჰსურთ, დაიჩქარონ და დროზედ გამოგზავნონ თავიანთი განცხადება.

## საზოგადოება ახდევინებს:

ნაჭირნახულევის გირაოთი გატანილ ფულში . . $9\%$

თამასუქით გაცემულ ფულში . . . . . $9\frac{1}{2}\%$

## თვითონ-კი აძლევს სარგებელს:

მიმდინარე ანგარიშით შემოტანილ ფულში . . $2\frac{1}{2}\%$

ექვსის თვის ვადით შემოტანილ ფულში. . . $4\%$

ერთის წლის ვადით შემოტანილ ფულში. . . $5\frac{1}{2}\%$

(5—6.—5).

### მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატრიცა მარია თეოდორეს ასულის მობრძანება კავკასიაში.

კვირას, 21 სექტემბერს, საღამოს $5\frac{1}{2}$ საათზედ, ხელმწიფე იმპერატრიცა მარია თეოდორეს ასული უავგუსტოესის შვილების დიდის მთავრის მიხეილ ალექსანდრეს ძის და დიდ მთავრინა ოლგა ალექსანდრეს ასულითურთ მობრძანდა ბათუმში „გიორგი ძლევამოსილის“ ჯავშნიანის გემით. იმპერატრიცის დასახვედრად დილის მატარებლით შეკრბნენ ბათუმში დიდი მთავარი ნიკოლოოზ მიხეილის ძე ლიკანიდგან, მთავარ-მართებელი კავკასიისა თავ. გ. ს. გოლიცინი და ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი გენერალ-ლეიტენანტი შალიკოვი. ბათუმმაც, მომლოდინემ ძვირფასის სტუმრებისამ, დილიდგანვე სადღესასწაულოდ ფერი იცვალა, მოირთო ყოველი სახლი და ქუჩა ბაირაღებითა და ყვავილ-გრეხილებით. აუარებელი ხალხი მიაწყდა ნავთ-სადგურს და არ მოჰშორებია ამ ადგილს ხელმწიფე იმპერატრიცის მობრძანებამდე. სწორედ ნაშუადღევის 5 საათზედ გამოჩნდა ზღვაზედ ჯავშნიანი გემი და ნახევარ საათის ლოდინის შემდეგ გაჩერდა რუსეთის ნავოსნობისა და სავაჭრო საზოგადოების ნავთსადგურის მახლობლივ. გემის გაჩერებისათანავე აბრძანდა გემზედ დიდი მთავარი ნიკოლოოზ მიხეილის ძე და მიულოცა მისს უდიდებულესობას მშვიდობით მობრძანება. გემზედვე წარუდგნენ იმპერატრიცას მთავარ-მართებელი თავ. გოლიცინი და ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი გენ. ლეიტ. შალიკოვი. მთავარ-მართებელმა მიართვა იმპერატრიცას საპატიო მოხსენება მისდამი რწმუნებულ ქვეყნის მდგომარეობის შესახებ.

საღამო ჟამს აინთო ელექტრონის ლამპრები გემებზედ და გაჩაღდა მთელი ქალაქი. 7 საათზედ „გიორგი ძლევა-მოსილის“ ჯავშნიან გემის სასადილო ოთახში სადილი იქმნა გამართული, რომელზედაც მიწვეულნი იყვნენ მთავარ-მართებელი კავკასიისა თ. გ. ს. გოლიცინი, ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი გენ. ლეიტ. შალიკოვი და შავის ზღვის ესკადრის უფროსი კონტრ-ადმირალი ლავროვი.

ორშაბათს, დილის 6 საათზედ, შეიკრიბნენ ნავთ-სადგურზედ მთავარ-მართებელი კავკასიისა თ. გ. ს. გოლიცინი, ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი გენ. ლეიტ. შალიკოვი, ბათუმის ოლქის უფროსი სილიჩი, ბათუმის ნავთსადგურის უფროსი ვერბოლოზოვი და სხვანი. აქვე იყვნენ ქალაქის თავი ასათიანი საბჭოს ხმოსნებითა და გამგეობის წევრებით. 9 საათზე ხელმწიფე-იმპერატრიცა უავგუსტოესის შვილებით გადმობრძანდა ჯავშნიან გემიდგან, რომელზედაც გაატარა ღამე, ჩაბრძანდა ორთქლ-მავალ ნავში და ნავმა გასწია ნავთ-სადგურისკენ. აქ გადმოსვლისათანავე გაისმა „ვაშა“-ს ძახილი და ზარბაზნების ხმა. მის უდიდებულესობას ნავთ-სადგურზედ მიეგება ადგილობრივი მთავრობა. ქალაქის თავმა და გამგეობის წევრმა ყვავილების კონა მიართვეს ხელმწიფე იმპერატრიცასა და დიდს მთავრინა ოლგა ალექსანდრეს ასულს. 9 საათსა და 40 წუთზედ მისი უდიდებულესობა წამობრძანდა ბორჯომისაკენ. ყოველ სადგურზედ ეგებებოდნენ ადგილობრივის მთავრობის წარმომადგენელნი, თავად-აზნაურობა და გლეხ-კაცობა. რკინის გზის დიდ სადგურებზედ მათ უდიდებულესობას მიეგებნენ ოზურგეთისა, სენაკისა, ქუთაისის, შორაპნისა და გორის მაზრის უფროსები. სადგურ სუფსას ბაქანზედ, სხვათა შორის, ჩამწკრივებულნი იყვნენ სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის მოსწავლენი, რომელთაც მწყობრად იგალობეს „ღმერთო, ჰფარვიდე მეფესა!“. შეკრებილმა ხალხმა იმღერა გურული სიმღერები, რომელსაც მათმა უდიდებულესობამ ყური დაუგდო და მადლობა გადაუხადა მომღერალთ. სადგურს ხაშურს მათმა უდიდებულესობამ ინახულა სამეფო ვაგონში გორის მაზრის უფროსი რ. ერისთავი. ხაშურიდგან ბორჯომამდე გზა მაშხალებით იყო განათებული. თითონ ბორჯომის სადგური მთლად ყვავილებში იყო გახვეული.

მათის უდიდებულესობის დასახვედრად ბორჯომში მოვიდა აბასთუმნიდგან დიდი მთავარი სერგეი მიხეილის ძე და ტფილისიდგან გუბერნატორი თ. ა. ბიკოვი და ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლი თავ. კ. ი. მუხრან-ბატონი. ამათ გარდა სადგურზედ მოვიდნენ უგანათლებულესი კნეინა ტ. დ. გრუზინსკისა ქალიშვილებითურთ. სამეფო მატარებელი მოვიდა საღამოს 7 საათსა და 5 წუთზედ. სადგურის დარბაზში წარუდგნენ მისს უდიდებულესობას: ტფილისის გუბერნატორი თ. ა. ბიკოვი და თავ. კ. ი. მუხრან-ბატონი, რომელმაც ყვავილების კონა მიართვა დიდს მთავრინა ოლგა ალექსანდრეს ასულს.

შემდეგ მისს უდიდებულესობას წარუდგა უგანათლებულესი კნეინა გრუზინსკისა ქალიშვილებით და სხვანი. სადგურიდგან მათი უდიდებულესობა შვილებითურთ ღია ეტლით წაბრძანდა დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოოზის ძის სასახლეში.

მეორე დღეს, 23 სექტემბერს, მათი უდიდებულესობა წაბრძანდა შვილებითურთ აბასთუმნისაკენ. თან ახლდნენ კავკასიის მთავარ-მართებელი თ. გ. ს. გოლიცინი და ტფილისის გუბერნატორი თ. ა. ბიკოვი.

(„კავკაზი“).

### მთავრობის განკარგულებანი

დამტკიცებულ იქმნა დუშეთის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობაზედ გრიგოლ ყარანგოზიშვილი.

## ახალი ამბავი

*** პარასკევს, 26 სექტემბერს, ქალაქის თავის აღმასრულებელი ბ-ნი ივანენკო და ხმოსანი ტეხნიკოსები ავჭალაში წავლენ ახლად გამართულის წყლის საწმენდის მანქანების დასათვალიერებლად. ხმოსანთაგანნი მიწვეულნი არიან: ბ-ნნი ი. მ. ალიხანოვი, ა. ს. ბაბოვი, ლ. პ. ბილფერდი, კ. ც. ბუტკევიჩი, ნ. ა. გრიქუროვი, ვ. გ. კანდურალოვი, კ. ი. კარაპეტოვი, ვ. დ. ყორღანოვი, ა. პ. შიმკევიჩი, ტ. ა. ენფენ-

## ფელეტონი

—

**შ ე ნ ი შ ვ ნ ა**

ვანისა და მის მსგავს წარწერების ენის შესახებ

ერთი ლაშქართ-მყვანებელი იტყოდა, როცა გაიგებდა, რომ მისნი ორგულნი იმისს მუდმივ გამარჯვებას აწერდნენ უბრალო შემთხვევას და არა იმისს სპასპეტის ნიჭიერებას: „უფალო ჩემო! დღეს შემთხვევა, ხვალ შემთხვევა, ზეგ შემთხვევა... მაშ ნიჭი და მოხერხება როდის-ღა“? სწორედ ესევე ითქმის ზოგიერთ მეცნიერების გამო, როცა იგინი შეეხებიან მსგავსებას „ვანის“ წარწერების ენისას ქართულს ენასთან. რაც რამ აქამდის ამ საგანზედ ახსნილ-აკინძულია, მათ უბრალო შემთხვევად მიაჩნიათ და ამბობენ, რომ ეს არ ამტკიცებს ამ ენების თანანათესაობასაო. უბრალო ადამიანი, რომელიც არ ჩემულობს ამ ნაირ ცრუ-სამეცნიერო სიფთხილეს, ეგებ სულ სხვა აზრს დაადგეს, თუ გაიხსენებს ყოველ ცნობას ამ საგნის შესახებ.

1857 წ. როცა ლონდონში რაულინსონმა, ჰინკსმა, ოპპერტმა და ტალპბოტმა დაამტკიცეს, რომ შეიძლება წაკითხვა ლურსმულ წარწერებისა, ასსურულ და სპარსულ ენაზედ, ამის შემდეგ კუნელოგები შეუდგნენ წაკითხვას იმ უძველესს ლურსმულ წარწერებისას, რომელიც ნახეს არმენიის კაპპოდოკიის და მიტანიის[1]) ადგილებში. ეს ნაწერები ყოფილა ყველა ერთის გვარისა[2]), მაგრამ სრულიად არ ემსგავსებოდა ასსურულ და სპარსულ წარწერებს და ენა იმათი არა ყოფილა არც სიმითურის, არც არიულის ენების მოდგმისა, როგორც ეს დაამტკიცეს უპირველეს კუნელოგებმა, რომელთა გამჭრიახობას უნდა დაუმადლოს ახლანდელმა ადამიანობამ, რომ 5—2 ათასის წლების საიდუმლო ფარდა ლურსმულ წარწერებს აეხადა. წინად ამ წარწერებს დაარქვეს „არმენიული“, რადგან პირველად ამნაირი ნაწერები ნახეს უწინდელ არმენიაში, ვანის ტბის ახლო; მაგრამ როცა დარწმუნდნენ (ჰენრი რაულინსონი, ლენორმანი და სხვები[3]), რომ ამ წარწერების ენას არავითარი მსგავსება არა აქვს იმ ენასთან, რომელსაც დღეს უწოდებენ არმენიულ ანუ სომხურ ენას, მაშინ ამ სახელ-წოდების მაგიერად მიღებულ იქმნა სახელ-წოდება „ვანური“, ანუ იმ ადგილების სახელები, სადაც წარწერებს ჰპოულობდნენ. თუმცა ამ წარწერების ენა არ ესმოდათ მეცნიერებს, მაგრამ ნაწერების აზრს თანდათან იგებდნენ. რომ გეკითხათ ამ მეცნიერთათვის, როგორ ახერხებენ წარწერების გაგებას, მაშინ როდესაც ენა არ იციან, ისინი გიპასუხებდნენ: „აქ საძნელო არაფერი არ არის იმისთვის, ვისაც ესმის ძველი სიმითიური ენები და შეგნებული აქვს სისთემი ასსირიულის ლურსმულ წარწერების“. ძველ სიმითიურ ენების შემწეობით შეიძლება გაიგოს კაცმა ზოგიერთი სიტყვები ვანის წარწერებისა; მაგალითებრ, სახელები მეფეებისა, ადგილებისა და სხვ., რადგან ეგ სიტყვები მოხსენებულია ორივე ნაირ წარწერით; ხოლო ცოდნა ასსირიულ ლურსმულ წარწერების სისთემისა საჭიროა მისთვის, რომ ამავე სისთემით იწერებოდა ვანური წარწერაც, რომელშიაც სიტყვების წინადადება გამოიხაზებოდა იდიოგრაფიულადაც. იდიოგრაფიული წარწერანი თუმცა ფონეტიკურად სხვა-და-სხვა ნაირად გამოითქმის, მაგრამ აზროვნობით-კი ერთგვარად გაიგება სხვა-და-სხვა ენაზედ, როგორც, მაგალითებრ, ხიმიკური ფორმულა გასაგებია ევროპიულს სხვა-და-სხვა ერთა მეცნიერთათვის.

როგორც უნდა იყოს, კუნელოგები მივიდნენ იმ დასკვნაზედ, რომ ენა ვანის წარწერისა ეკუთვნის იმ განსაკუთრებულ ენათა მოდგმას, რომელიც, თუმც მიმოხვრასა, ბრუნვასა და უღვლილებაში ძირის და დაბოლოების მარცვლებს იცვლის, მაგრამ სრულიად არ დაუკარგავს თვისება იმ ენებისა, რომელთაც რთულ სიტყვებში, შემდგარ ორის ანუ მეტის ფესვისაგან, ერთი ან ორი ამ ფესვთაგანი უცვლელად რჩებათ; მაშასადამე ვანის წარწერების ენას უკავია შუა ადგილი სიმითიურ-არიულ და ტურანულ ენების მოდგმათა შორის. ლენორმანმა თავისს ასსირიოლოგიურს წერილებში პირველად წარმოსთქვა ის აზრი, რომ ენა ვანის წარწერებისა მეტის-მეტად ემსგავსება ქართულ ენას. სეისი სრულიად დაეთანხმა და კიდეც სთხოვა ქართულის ენის მცოდნეთ მიეწოდებინათ მასალა ფილოლოგიურ შედარებისათვის.

ნამდვილი კუნელოგთა შორის არავინ გამოჩნდა, რომ ამის წინააღმდეგი გამხდარიყო; მხოლოდ ერთადერთმა სომხურ ენის პროფესორმა პატკანიანმა იცნო შესაძლოდ გამოსარჩლებოდა ამ აზრს. რამდენად იყო ეს გამოსარჩლება დასაბუთებული მეცნიერულად, ჩვენ, რასაკვირველია, ვერ შევეხებით, მაგრამ ერთი კი გვესმის და ნამდვილად ვიცით, რომ ვანის წარწერების შეგნებისათვის და იმისთვის, თუ რა დამოკიდებულობა აქვს იმათ ენას ქართულ ენასთან, აუცილებელს საჭიროებას შეადგენს ცოდნა როგორც ასსირი-

[1]) მიტანია მდებარეობდა ევფრატისა და ორონტის მდინარეებ შუა.

[2]) კაპპოდოკიური წარწერები შესწავლული იყო ვ. ს. გალენიშჩევისა და მიტანიურ მარბურგის პროფეს. იენზენისაგან. ორივემ აღიარეს, რომ ეს წარწერები ემსგავსება მხოლოდ „ვანისა“-ს.

[3]) „ივერია“, 1890 წ. №№ 36, 38, 40, 41 და 42.

ჯიანცი, გ. ზ. იარალოვი, მ. ტ. კუზანოვი, ს. ა. მუხარინსკი და ს. დ. ლისიცევი.

⁂ შინაგან საქმეთა სამინისტროს გამგემ ბ-ნმა იკსკულმა შეატყობინა ტფილისის გუბერნატორს, რომ შეგიძლიანთ გაიტანოთ იმ ფულიდგან, რომელიც ხარჯთ-აღრიცხვით დაღესტნის ოლქში საქონლის ჭირის მოსასპობად არის გადადებული, 8,000 მანეთი დარაჯების დასაჭერად და სხვა ხარჯისათვის, რომელიც ტფილისის გუბერნიაში საქონლის ჭირის მოსპობას დასჭირდებაო.

⁂ საბჭოს ექიმი ბ-ნი გედალინი ექვსის თვით საზღვარ-გარეთ წავიდა თავისის ცოდნის შესავსებად. ქალაქის გამგეობამ ნება დართო წასვლისა, ისე კი, რომ ჯამაგირი არ ეძლეოდეს. იმის თანამდებობას დროებით შეასრულებს ექიმი-ქალი ფომინა-ოსიპოვისა.

⁂ გუშინ, 24 სექტემბერს, ტფილისის მესამე ნაწილის მოსამართლესთან შემდეგი საქმე ირჩეოდა. წელს, ივლისში, ნაძალადევის უბანში ააგეს სახალხო თეატრის შენობა ბ-ნმა გ. ჩარკვიანმა და ამხანაგობამ. თეატრის შენობა სხვის მიერ იჯარით აღებულს ადგილზედ არის აშენებული. ამ ადგილის მოიჯარადრემ თვისი ადგილი ახლა სხვას გადასცა და ახალმა იჯარადარმა ბ-ნს ჩარკვიანსა და ამხანაგობას ნება აღარ მისცა თეატრში წარმოდგენების გამართვისა და ასე ამბობდა, რაც აქამდე წარმოდგენები ყოფილა იმის ფული მომეცით და თქვენი შენობაც წაიღეთ აქედგანაო. საქმე სასამართლომდე მივიდა. მოსამართლემ შემდეგი განაჩენი დაადგინა: ბ-ნს ჩარკვიანსა და ამხანაგობას ნება მიეცეთ თეატრში სრულიად უფასოდ წარმოდგენების გამართვა პირველ იანვრამდეო.

⁂ ტფილისის ოლქის სასამართლოს წევრს ბ-ნს ი. უთნელიშვილს, რომელიც გადაყვანილ იქმნა ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის ამხანაგად ქ. ეკატერინოდარში, ტფილისის ნაფიცი ვექილები და თანაშემწენი გამოსამშვიდობებელს სადილს უმართავენ ხელ-მოწერით.

⁂ ტფილისში მოსულ ცნობებიდგანა სჩანს, რომ ცნობილი ავაზაკი ალაი-ბეგ მურსაყულოვი მხოლოდ ერთის კაცის თან-მხლებით, მილიციის პრაპორშჩიკის ტანისამოსში გამოწყობილი, მანგლისში მისულა, ორი-სამი საათი უსეირნია და თან რაღასაც ათვალიერებდა თურმე. მანგლისელები ისე დაიბნენ, რომ მაშინვე არ შეატყობინეს ბოქაულსა და დარაჯებს. მხოლოდ მაშინ აცნობეს ეს ამბავი პოლიციას, როდესაც მურსაყულოვმა ივაჭრა კიდეც და მშვიდობიანად განშორდა მანგლისს. დაგვიანებული მდევარიო, ამბობს გაზ. „კავკაზი“; რასაკვირველია, ველარას გახდებოდაო.

⁂ იმავე გაზეთის სიტყვით, სოფ. ჩაჩუბეთს ახლო, გორის მაზრაში, გზად თოფით მოუკლავთ ჩაფარი. მოკლულთანვე უპოვნიათ ბერდანის თოფი, ვერცხლის ქამარი და ხმალი.

⁂ მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრი ტაინი სოვეტნიკი ერმოლოვი 22 სექტემბერს სუხუმიდგან სოჭს მისულა, სადაც თავისი საკუთარი მამული აქვს. (,,ტფ. ფურც.“)

⁂ იმავე გაზეთს აუწყებენ, რომ ბეჭდვის საქმეთა მთავარ-სამმართველოში ორი თხოვნაა შეტანილი ქ. ტფილისის ორი ახალის ყოველდღიურის რუსულის გაზეთების შესახებ. ამ გაზეთებს ეწოდებათ „Кавказскій Вѣстникъ“ (,,კავკასიის მოამბე“) და ,,Кавказскія Новости“ (,,კავკასიის ახალი ამბები“). პირველის გაზეთის გამოცემა უთხოვნიათ ტფილისის ადრეს. კალენდრის შემდგენელს ბ-ნს გერცენშტეინსა და აქციზის სამმართველოს მდივანს ბ-ნს ლავროვს, ხოლო მეორისა—ბ-ნს ბუჭყიაშვილს.

⁂ ბაქოდგან სწერენ აქაურს გაზეთებს: ,,ნავთის მწარმოებელთა ამხანაგობა ირღვევა, რაც იმითიცა სჩანს, რომ 15 სექტემბრისათვის პეტერბურგში დანიშნულს ბჭობას ნავთის მწარმოებელ-მოკავშირეთა უმეტესობა არ დაესწრო. ამ გარემოების გამო ზოგიერთ ნავთის მწარმოებელთ აზრადა აქვთ ახალი ამხანაგობა ანუ კავშირი დააარსონ, რის შესახებ უკვე მოლაპარაკება აქვთ კიდეც.

⁂ ,,ნოვ. ობოზ.“-ეს გაუგონია, რომ აზრადა აქვთ ტრაქტირებსა და ყავახანებს სახალხოდ გამოსადეგი და სასარგებლო წიგნები დაურიგონ საკითხავადაო.

⁂ გაზ. ,,Казбекъ“-ი სწერს, რომ კავკავში პოლიტეხნიკუმის დაარსების საქმეს საერო განათლების სამინისტროს სწავლულთა კომიტეტი ამა მიმდინარე შემოდგომას განიხილავსო.

⁂ დ. გუდაუთი. 12 ამ თვეს, სოფელ აჭანდარაში მოკლული ჰნახეს სმელ ალთაჩ-იფა, მთელ აფხაზეთში ცნობილ ყაჩაღის მაჰმუთ ალთაჩ-იფას უფროსი ძმა. სმელ ალთაჩ-იფა შინ სცხოვრობდა და არავითარი საქმე არ ჰქონდა. ამ ერთის თვის წინად უბრძანეს დაეჭირა ყაჩაღი ძმა და პოლიციისთვის მიეცა. მან უარი განაცხადა, რის გამოც შებოჭვილი გუდაუთისკენ გამოატანეს ყაზახებს. ს. ალთაჩ-იფა გზაზე ყაზახებს გაექცა და თავისს ძმას შეუერთდა. მას შემდეგ ძმანი აჭანდარის მიუვალ ხევში ინახავდნენ თავს მეორე ცნობილ მაჭიდ ბარციცთან ერთად. მკვლელი ვერ იპოვეს. ამბობენ, ვითომ იმის პირად მტერს მოუკლავსო. სასურველია, რომ როგორმე დანარჩენ ორს იმისს ამხანაგსაც ჩაიგდებდნენ ხელში.

⁂ 23 სექტემბერს, დილის 8 საათზედ, ავლაბრის მოედანზედ ჩხუბი მოუვიდათ ალექსი ივანოვსა და ტფილისის მოქალაქეს მოსე კოსტანოვს, კოსტანოვმა ჯიბის დანა დაჰკრა მკერდის მარცხენა მხარეს და დასჭრა. დაჭრილი მიხეილის საავადმყოფოში იქმნა გაგზავნილი, ხოლო დამნაშავე დაპატიმრებულია.

⁂ 23 სექტემბერს, ნაშუადღევის 3 საათზედ, რკინის გზის ხიდიდგან, რომელიც ავჭალის ქუჩაზეა გაკეთებული, ვიღაც უცნობი კაცი გადავარდა, ხნით ასე 40 წლისა და იქვე სული დალია. გარდაცვალებულის გვამი საანატომიო თეატრში გაჰგზავნეს.

⁂ 22 სექტემბერს, ღამის 11 საათზედ, ქალაქის მესამე ნაწილში, დიდს წყლის საზიდ ქუჩაზედ, ოზეროვის სახლის კარებთან პოლიციელმა კოვალენკომ იპოვა მიგდებული დედათა სქესისა, ესე სამი წლის ბავშვი. ბავშვთან ბარათი იპოვნეს, რომელშიაც ეწერა, რომ ბავშვი მონათლულია და სახელად ნადია ეწოდებაო. ბავშვი ოლღას საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

## უცნაური მოვლენა.

ჩვენ ნამდვილად შევიტყვეთ, რომ დასავლეთ საქართველოს ზოგს სამრევლო სკოლებში რუსულის ენის სახელმძღვანელოდ შემოუღიათ იქაურის დირექტორის წიგნი „Курсъ русскаго языка“, „Русское Слово“-ს ნაცვლად. ამ უცნაურისა და გაუგებარი ამბის გამო ჩვენ მოვიწადინეთ შევადაროთ ეს ორი სახელმძღვანელო წიგნი ფაქტიურის მხრივ, რაიცა დაახლოვებით გვაქვს გაცნობილი: 1) Курсъ-ი საერო მთავრობის განკარგულებით მხოლოდ ნებადართულია სახმარებლად, როგორც თვითონ წიგნს აწერია. „Рус. Слово“-კი მოწონებულია იმავე მთავრობის მიერ რამდენჯერმე, როგორც სახელმძღვანელო რუსულის ენისა; 2) სასულიერო მთავრობამ უარ-ჰყო Курсъ-ი, როგორც შეუსაბამო და უვარგისი წიგნი და ეს უარ-ყოფა დამტკიცებულია მისის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის ვლადიმირის მიერ. „Рус. Слово“-კი რამდენჯერმე მოიწონა იმავე მთავრობამ სახელმძღვანელო წიგნად; 3) მთელმა რუსეთის პერიოდულმა ჟურნალ-გაზეთობამ სასაცილოდ აიგდო ლევიცკის წიგნი, „Русс. Слово“-კი ძლიერ მოიწონა და აღიარა „მშვენიერ და ნიჭიერად შედგენილ წიგნად“. (прекрасный и талантливо составленный трудъ, საფილოლოგიო ბიბლიოთეკის აზრით); 4) ტფილისის დირექციამ უარ-ჰყო Курсъ-ი, ავტორის მეცადინეობის წინააღმდეგ, და არც ერთს თავისს სკოლაში არა ჰხმარობს, სწორედ ისე, როგორც არ იხმარება არც ერთს სამრევლო სკოლაში; 5) „Курсъ“-ი ასწავლის რუსულს ენას მხოლოდ თვალ-საჩინო ღონისძიებით, „Русск. Слово“-კი ამ ღონისძიებასაც ჰხმარობს და თარგმანსაც აშველებს, როგორც ამას თხოულობენ საუკეთესო პედაგოგები რუსეთისა, გერმანიისა და საფრანგეთისა, რაიცა სჩანს, სხვათა შორის, ბ-ნის ბოცვაძის მშვენიერის წერილიდგან (ამ ზაფხულს დაიბეჭდა იგი „Новое Обозрѣніе“-ში ფელეტონად შემდეგის სათაურით: „Неестественность неестественнаго метода“); 6) „Курсъ“-ი მოკლებულია სრულიად საწერ დედანს, რის გამოც იმის ხმარების დროს რუსული ცალკე დედანი უნდა იყიდონ მოსწავლეებმა, „Русское Слово“-ში კი მოთავსებულია მთელი კურსი რუსულის წერისა; 7) „Курсъ“-ში არ მოიპოვება ესრედ წოდებული სურათი—დედნები (картинки-прописи), „Русское слово“-ში კი მოქცეულია მთელი ას-ორმოცი სურათი-დედანი; 8) „Курсъ“-ი არ შეიცავს სრულიად სასულიერო-ზნეობრივ მასალას, „Русское Слово“-ში კი ეს მასალა პირველ ნაწილშიაც არის და მეორეშიკი ხომ მთელს ვრცელს განყოფილებას შეადგენს და სხვანი და სხვანი.

ყველა ამის შემდეგ ნუ თუ უცნაური, გაუგებარი და საოცარი არ არის ის მოვლენა, რომ ლევიცკის წიგნი, ყოველ ღირსებას მოკლებული, კანონისა, სამართლისა და მოსწავლეთა სიკეთის წინააღმდეგ, ვრცელდება ქუთათურ სამრევლო სკოლებში.

შინი

## შინა-მრეწველობის საქმე კავკასიაში

ჩვენ უკვე გვქონდა მოხსენებული, რომ მეურნეობის სამინისტრომ ყურადღება მიაქცია შინა-მრეწველობის საქმეს კავკასიაში და მცოდნე კაცი ინჟინერ-ტეხნიკოსი ბ-ნი მერჟეევსკი გამოჰგზავნა იმის ადგილობრივ შესასწავლადაო. ბ-ნმა მერჟეევსკიმ უკვე მოიარა ქუთაისის გუბერნია და ში-

---

ულ ლურსმულ წარწერების კითხვისა, ისე ქართულის ენისა; განსვენებული პროფესორი-კი ორსავე ამ ცოდნას მოკლებული იყო. თავისს წიგნაკში ,,თიგლაფ ფალასსაროს ინდოეთში გალაშქრების შესახებ“— მან პირდაპირ აღიარა, რომ, მისდა სამწუხაროდ, ასსირიულ ლურსმულ წარწერებს სრულიად ვერა კითხულობს; რომ ქართული ენა მან არ იცოდა, ეს მეორე წერილში აქვს გამოცხადებული [4]). ასე რომ პატკანოვის გამოსარჩლება დამყარებული იყო მის პირად შეხედულობაზედ და მოკლებული ყოველ მეცნიერულ განზრახვას. ლენორმანი-კი თავისის აზრის დასამტკიცებლად იძლევა საფუძვლიანს ფილოლოგიურსა და ისტორიულს ცნობებს. ფილოლოგიური ცნობები მან თვითონ გაჰყო ორ ნაწილად: სარწმუნოდ და საეჭვოდ; სარწმუნო დამამტკიცებელ ცნობად მას მიაჩნია: არსებით სახელების ბრუნვაში სიტყვის დაბოლოვება და დაბოლოვება ზედშესრულ სიტყვებისა, აგრეთვე სრული მსგავსება ნაცვალ-სახელებისა და კავშირისა; ხოლო საეჭვოდ ის აღიარებს ზმნათა უღვლილების სრულ მსგავსებას და განმეორებულ რთულ ფორმებს, რადგან ამ მხრივ ვანის წარწერების ენა ვრცლად არა ჰქონდა მაშინ გამოკვლეული. ლენორმანის შემდეგ ყოველი სიტყვა, გარკვეული და წაკითხული სხვა კუნელოგებისაგან, ემსგავსება მხოლოდ ქართულ ენას. ერთის სიტყვით, გამოირკვა, რომ მხოლოდ ვანის წარწერების ენას და ქართულს შეთვისებული ჰქონიათ: განმეორებითის რთულის სიტყვების ფორმები, ერთნაირი სისთემი პრეფიქსებისა და სუფიქსებისა და აგრეთვე დაბოლოვება ზმნისაგან შემდგარის სიტყვებისა „ებ“-ზედ.

ამას გარდა, ვანის წარწერებში კუნელოგებისაგან ამოკითხულია შემდეგი სიტყვები: athebr (ათები), agubi (აღება), tukhi (ტყვე), ubam (უბანი), mili (მილი), აგრეთვე სახელები: დათა, კაკი (კაკუ), ურზანმუკალ (მუკა), შუტარ (თუთარ), გვილიფხ და სხვ. როგორც ჰხედავთ, ეს სიტყვები თავისის თვისებით სრულიად ემსგავსება ქართულსა და მისს მოდგმის მეგრულ-სვანურ ენებს. რასაკვირველია, როდესაც მსჯელობა გვაქვს ვანის წარწერის და ქართულ ენის მსგავსების შესახებ, არ უნდა იყოს დავიწყებული, რომ ამ ენებს შუა უზის ოც-და-ხუთი საუკუნე, ამისთვის არ უნდა ელოდდეთ, რომ ყოველ სიტყვაში სრულს მსგავსებას შეხვდეთ; ისიც სამყოფია, რომ გრამატიკული კანონები ერთი და იგივეა. ვინც კარგად იცის ქართული და მეგრული ენები, ის ხომ აღიარებს, რომ ეს ორი ენა ერთი მოდგმის ენაა, მაგრამ განსხვავება იმათშიაც არის; მაგალითებრ ავიღოთ წინადადება, ეს მილი გამოვიღე.—ვანის წარწერებში [5]) ეს სიტყვები ასე არისო ამბობენ კუნელოგები: —„ini milie aguuni“. მეგრულად იქნება—„ათე მილი ქიმივილ“ და სვანურად:—„ალი მილი აღვილ“. თუმცა ამ წინადადებაში სიტყვა „მილი“ ეკუთვნის მხოლოდ ვანის წარწერებსა და ქართულ ენას და მეგრულსა და სვანურს მის მაგიერ-კი სხვა სიტყვა აქვს და თუმცა ნაცვალ-სახელები სხვა და-სხვაა, მაგრამ ამ წინადადებიდგან ხომ ცხადად სჩანს, რომ ზმნების ძირები ერთი და იგივეა და რომ თავის თვისებით ეს სიტყვები ერთის აგებულობის უნდა იყოს.

აქ უადგილო არ იქნება, რომ გავიხსენოთ კიდევ ერთი „შემთხვევა“. უძველეს დროიდგან სვანები ცხენისწყლისა და ენგურის სათაურებში იყვნენ შემწყვდეულნი; ორი ათასს წელიწადს მაინც არავის უცხო ერს, თანამეტომე ქართველებისა და მეგრელების გარდა, იმათზედ გავლენა არა ჰქონია. რადგან სვანურ ენაზედ მწერლობა არასოდეს არ ყოფილა და რადგანაც ადგილის ღირღოვანობით სვანები ასე განცალკევებულნი დღემდის დარჩნენ, იმათი ენა თითქმის არ განვითარებულა და არ შეცვლილა. ყოველი სწავლა-წარმატების სიტყვა სვანურ ენაში მიღებულია ქართულიდგან; მაგრამ ამასთან საკვირველი ის არის, რომ სვანები სიტყვების: წერილის, ნაწერის, მწერალის, წერის მაგიერ ჰხმარობენ ქართულ სიტყვის—„ლარი“-ს ძირიდგანვე შემდგარს სიტყვებს: ლაირ, ნაირ, მიირი, ლიირი და სხვა.—სვანურ ენას სიტყვა „ლაირ“ საიდგან უნდა ჰქონდეს დაცული, თუ იმ დროიდგან არა, როდესაც მის თანამოგვარე ენაზედ წერის ნიშნებად, ასოების მაგიერ, ჰხმარობდნენ ლარს ანუ ხაზს, როგორც საზოგადოდ ყოველ ,,ლურსმულ“ ანუ ,,სოლიბრივ“ წარწერებში?

ახლა თუ მივჰმართავთ კაცობრიობის უძველესს მატიანეს, იქაც არ შეხვდებით წინააღმდეგს რასმე იმ მოსაზრებისას, რომ ერი, რომელმაც დასტოვა ვანური წარწერები, ,,ქართლოსიანთ“ თანამოგვარე იყო.

კიდევ წინედ ნოეს შთამამავლობის სიათა აღწერაში მოსე იხსენიებს ერებს ,,მეხეხ-თუბალს“ და ,,თოგარმას“. უძველესს ეგვიპტურ მატიანეებში იგივე ერები იხსენებიან ,,მუშან“-ად და ,,რამენ“-ად; ასსირიულ წარწერებში ცნობილი არიან ,,მუსხ“ ად, ,,თაბალ“-ად და ,,ნაირ“-ად; კლასიკური მწერლები უწოდებენ: „კოლხ-ჰალიმბებას“, „თიბარენოს“, „მოსხს“, „სასპირს“, „იბერს“ და „ალბანს“. ამ ერებს ყველა მწერა-

[4]) „ისტორია მონგოლების სომხურ წყაროებ“., 2 წიგ., გვერდ: VII და VIII.

[5]) „მოამბე“, 1897 წ. № 5

ნა-მრეწველობის შესახებ მოლაპარაკება ჰქონდა კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების ქუთაისის განყოფილებასა და სხვა წარმომადგენლებთან. ხოლო ამ ჟამად ბ-ნი მარჟეევსკი ტფილისშია და გუშინ წინ, 22 სექტემბერს, კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებაში კიდეც წაიკითხა თავისი ვრცელი მოხსენება კავკასიაში შინა-მრეწველობის გაძლიერების შესახებ. ვიდრე ამ მოხსენების განხილვას შეუდგებოდეთ, მეტი არ იქნება ორიოდე სიტყვით გავაცნოთ ჩვენს მკითხველებს შინა მრეწველობის საქმის მდგომარეობა ამ ჟამად ჩვენში.

ვინ არ იცის, რომ ჩვენ ქვეყანაში უწინ შინაური მრეწველობა (აბრეშუმის მომზადება, შალებისა, ხალიჩებისა, ფარდაგების, ლეჩაქების ქსოვა და სხვა) უფრო იყო გავრცელებული, ვიდრე ეხლა. თითქმის ყველა გლეხი, თავადი თუ აზნაური თავისის ოჯახისთვის საჭირო მასალას შინ იმზადებდა და ფართლეულობის მოვაჭრეებისაგან ისეთს რასმეს ჰყიდულობდა, რის მომზადებაც ჩვენში არ იცოდნენ და რაც სხვა ქვეყნებიდგან მოჰქონდათ. მაშინ ქართველი კაცის ტანისამოსის მასალა მთლად ოჯახში მზადდებოდა და კეთდებოდა. საქართველო ნაქები იყო თავისის ხალიჩებით, შალებით, აბრეშუმეულობით და სხვა, მაგრამ მას შემდეგ, რაც კავკასია ევროპას დაუახლოვდა, ევროპამ კავკასიის სავაჭრო ადგილები თავისის ქარხნების ნაწარმოებით აავსო, რომელიც ერთი ორად და სამად უფრო იაფად იყიდებოდა, ვიდრე ადგილობრივ მკვიდრს იმავე მასალის მომზადება უჯდებოდა ოჯახში. ამის მიზეზი, რასაკვირველია, მრეწველობის ტეხნიკის გაუმჯობესება, ახალის მანქანების მოგონება იყო, რომლის წყალობით მექარხნე იაფსა და კარგის ხარისხის მასალას სულ ცოტა ხანში ამზადებდა. რასაკვირველია, ასეთს მეტოქეობას შინა-მრეწველობამ ვეღარ გაუძლო და ნება-უნებურად სოფლის კაცს ამ საქმეზედ ხელი აღებინა ასე გადავარდა ქართლ-კახეთში აბრეშუმის მოყვანის საქმე, შალებისა და ხალიჩების ქსოვა და სხვა. ასევე გადავარდება შინა-მრეწველობა იქაც, სადაც კიდევ იგი არის (მაგ. ქუთაისის გუბერნიაში ნუხის და შუშის მაზრაში და სხვაგან), თუ საქმის მწარმოებელნი ისეთის იარაღით არ აღიჭურვებიან, როგორითაც მექარხნეები არიან აღჭურვილნი, ე. ი. არ გააუმჯობესებენ მთლად შინა-მრეწველობის ტეხნიკას და ახლად გამოგონილ მანქანებს არ შეიძენენ.

კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებამ კარგა ხანია ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია და მოიწადინა კავკასიაში შინა-მრეწველობის აღდგენა და ფეხზედ დაყენება. შარშან ამ საგნის შესახებ რამდენიმე კრება კიდეც ჰქონდა საზოგადოებას. ამ კრებაზედ საზოგადოებამ შეიმუშავა ზოგიერთი საშუალება იმისა, თუ როგორ შეიძლება შინა მრეწველობის გავრცელება და კიდეც სთხოვა მეურნეობის სამინისტროს, დახმარება აღგვიჩინეთო. საზოგადოება იმ აზრს დაადგა, რომ დაარსოს შინა მრეწველობის სამაგალითო სახელოსნო, მოწყობილი საუკეთესო მანქანებითა და იმისის შემწეობით გაავრცელოს ხალხში მრეწველობის ცოდნა. ასეთი სახელოსნო ერთს ადგილას არ უნდა ყოფილიყო, არამედ დრო გამოშვებით ყველგან: რამდენიმე თვე ან წელიწადი ერთს ადგილას, მერე ამდენივე ხანი—მეორე ადგილას და სხვანი.

ასევე გულ მოდგინედ შეუდგნენ ამ საქმის განხილვას კავკასიის საიმპერატორო საზოგადოების ქუთაისის განყოფილება და იქაური სამრეწველო ამხანაგობანი. იმათ მოიწადინეს დააარსონ ქუთაისში სამაგალითო სახელოსნო და იყოლიონ რამდენიმე ინსტრუქტორი, რომელნიც სოფელ-სოფელ ივლიან და ასწავლიან ხალხს. ამ აზრით მეურნეობის სამინისტროს მიჰმართეს და 1,600 მან. დახმარება სთხოვეს.

სამინისტრომ ყურადღება მიაქცია ამ თხოვნებს და კავკასიაში შინა მრეწველობის მდგომარეობის დაწვრილებით შესასწავლად, როგორც ზევითაც მოვიხსენიეთ, ამ საქმის განსაკუთრებული მცოდნე ბ-ნი მერჟეევსკი გამოგზავნა. გუშინ წინ, 23 სექტემბერს, კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებას კერძო მოლაპარაკება ჰქონდა, რომელსაც ბ-ნი მერჟეევსკიც დაესწრო და რომელზედაც მან ვრცელი მოხსენება წაიკითხა კავკასიაში შინა-მრეწველობის წარმატების შესახებ. აქ ჩვენ ბ-ნ მერჟეევსკის მოხსენების და იმის მიერ გამოწვეულ კამათის განხილვას არ შევუდგებით, რადგანაც ამ საგნის შესახებ საზოგადოებას კიდევ ექმნება კრება და მაშინ ყოველსავე დაწვრილებით ვაუწყებთ მკითხველს. ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ ბ-ნ მერჟეევსკის პროექტით, მოძრავ სახელოსნოს ნაცვლად, უმჯობესი იქმნება ერთს ადგილას დაარსდეს სახელოსნო-სკოლა, სადაც სოფლის ახალგაზდათ შეეძლებათ შეისწავლონ შინა-მრეწველობა ახალის ტეხნიკისა და მანქანების შემწეობით. ამ სახელოსნოს ექმნება რამდენიმე სტიპენდია, რომელზედაც ღარიბი სოფლელნი აღიზრდებიან. ბ-ნ მერჟეევსკის აზრით, შემდეგ ამ სახელოსნო სკოლაში სწავლა-დამთავრებულნი სოფლებში წავლენ და უბრალო ხალხს მასწავლებლობას გაუწევენ. ასეთს სახელოსნოს სამინისტრო ფულით დახმარებას ჰპირდება.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**ს. ტობანიერი**, (ქუთაისის მაზრა). 22 სექტემბერი. ს. ტობანიერი იმყოფება 12 ვერსის მანძილზედ დ. სამტრედიიდგან და შეადგენს სამტრედიის საზოგადოს; როგორ დარქმევია ამ სოფელს ეს სახელი, ამის შესახებ შემდეგი თქმულებაა: ამ სოფელში ჩამოდის მდინარე „უშური“, რომელიც ოდესმე ყოფილა შესანიშნავი აუარებელის თევზით; როდესაც მდინარეში ბევრი თევზი შემოვა, ამას ეძახიან სოფელში „ტობი“-ს, აქედგან შეიძლება დარქმევა ამ სოფელს ტობანიერი; ჰფიქრობენ კიდევ, რომ ვითომ ეს ადგილი, სადაც ეხლა სოფელია გაშენებული, შეიძლება ოდესმე იყო დაფარული ტბითა; მაგრამ პირველი თქმულება უფრო სარწმუნოდ მიგვაჩნია, რადგანაც დღესაც არის ბლომად თევზი ამ მდინარეში. ტობანიერში სიმინდი და ღვინო საკმაოდ მოდის. აქ უმეტეს ნაწილად შეხვდებით „მაღლარს“, ვენახები ხეზედ არის, ამისათვის დიდის ზარალის მომტანია აღმოსავლეთის ქარი. მესამე წელია, რაც აქედგან დ. სამტრედიამდე დადიან ყოველ დღე „დილიჟანსი“ და „ლინეიკა“, რის გამო მცხოვრებლებს დიდი საშუალება მოეცა მოგზაურობისა. საუბედუროდ, გზები არ გვივარგა: ავდრიანს დღეს ალაგ ალაგ ისეთი ტალახებია, რომ ოთხი ცხენი ძლივს მიათრევს ეტლს; ამ გზების შეკეთება მეტად ადვილია, რადგანაც მდ. რიონის პირად მიდის უმეტესი ნაწილი და ქვიშაც აქვე გვეშოვება, მაგრამ სოფლის მოხელეების გულ-გრილობას უნდა მივაწეროთ ყოველივე ეს ნაკლულევანება. ისინი საზოგადოებას გზებისათვის როდი აწუხებენ; რბილად ეძინებიან ალბად იმიტომ, რომ იქნება მეორედ იქმნენ კიდევ ამორჩეულნი.

ერთი თვეა, რაც დ. სამტრედიაში გადმოიყვანეს ბოქაულად ხონიდგან ბ-ნი ტატიშვილი, რომელიც გზებს და ამგვარ საჭირო საქმეებს დიდ ყურადღებას აქცევს. დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენს სოფლებსაც გადმოხედავს თავისის მოწყალე თვალით და გააკეთებინებს ამ საზამთროდ გზებს და ხიდებს, რათა უმასოდაც ჩვენს ჩანჩალა ეტლებს ადვილად შეეძლოთ მიმოსვლა ავდრიანს დღეებშიაც.

აგერ თითქმის ოცი წელი გადის მას შემდეგ, რაც ტობანიერში არსებობს ერთ კლასიანი სამინისტრო სასწავლებელი, მაგრამ ჯერ საზოგადოებას არავითარი სარგებლობა არ უნახავს მისგან; ამისი მიზეზი გახლდათ მასწავლებლების ხშირად გადაყვან-გადმოყვანა და, ამას გარდა, რიგიანად მომზადებულ მასწავლებლებსაც სასწავლებელი მოკლებული იყო. მადლობის ღირსია ბოქაული ბ-ნი ივლიანე ქავთარაძე, რომელმაც შეაგონა საზოგადოებას ზოგიერთების შემწეობით, რომ ერთკლასიანს სასწავლებელს ჯეროვანი სარგებლობა ვერ მოაქვსო, და გადააკეთებინა ორ კლასიანად. დღეს აქაურ ერთკლასიანი სასწავლებლის გვერდში საზოგადოებამ გამოჭიმა მშვენიერი მეორე კლასიანი სასწავლებელი; რომლის შენობა შესდგება ერთის დიდის დარბაზისაგან. მეორე კლასისათვის და ხუთის ოთახისაგან სასწავლებლის ზედამხედველისათვის; შენობა დახურულია მარსელის კრამიტით და დაჯდა 1,500 მანეთამდე. ამ სასწავლებელს მხოლოდ ერთი ნაკლულევანება აქვს,—საბაღე ადგილი არ მოეპოვება; იქვე უკან არის სახელმწიფო ადგილი, რომელიც ეკუთნის სახელმწიფო გლეხს; რამოდენიმე ნაწილი ამ ადგილისა ადვილად შეიძლება დაეთმოს სასწავლებელს, თუ კი მაგიერი ადგილი მიეცემა იმის პატრონს სხვაგან. იმედი გვაქვს მომრიგებელი შუამავალი ბ-ნი ი. ქავთარაძე ამ საქმეში დაგვეხმარება.

21 სექტემბერს დილით ადრე აქ ხმა გავარდა, რომ აქაურ სახელმწიფო ფულების მომკრეფს კოსტა ბახტაძეს 20 სექტემბერს, ღამის მესამე საათზედ, ავაზაკები დასცენ, როდესაც თავისის ოჯახში ეძინა, შეჰკრეს და წაართვეს სახელმწიფო ფული 145 მანათიო; 21 სექტემბერს მამასახლისმა მოიყვანა სამმართველოში, გამოჰკითხა საქმის გარემოება და აღმოჩნდა, რომ სადაც ბახტაძესა და იმისს ცოლს სძინებიათ, შესულან ავაზაკები, ბახტაძე შეუკრავთ ბაწრით და დაუგდიათ მიწაზედ, ფულები-კი წაუღიათ; თუმცა ბახტაძეს ბევრი უყვირია, მაგრამ ვერც ცოლსა და ვერც მეზობლებს ვერა გაუგონიათ რა, რომ მიშველებოდნენ; შემდეგ, როდესაც ცოლს გამოუღვიძნია და მეზობლებიც მისულან, ბახტაძე ხელებ შეკრული უნახავთ იქვე ლოგინის წინ დაგდებული. ქურდობა არა აქვს-რა. ფული დიდი ხანია, რაც შეკრებილი ჰქონია და 29 აგვისტოს მამასახლისის ბრძანებისამებრ უნდა წაეღო ხაზინაში. მამასახლისმა ოქმი შეადგინა და გაჰგზავნა გამომძიებელთან.

ვლადი ბზვანელი

—

**ბარის ოსები**, (კავკავის მაზრა). ბევრჯელ გვქონია მოხსენებული, რომ ქიშტები ბარის ოსებს მოსვენებას არ აძლევენ და ბევრნაირ ზარალს აყენებენ სხვა-და-სხვა მხრივაო. სოფ. დარკოხის ცხენის ჯოგს თავს და-

---

ლნი მუდამ ერთად იხსენებდენ, როგორც შეკავშირებულთ ერთისა და იმავე ისტორიული წარსულ ბედიღბალით და საცხოვრებელ მიწა-წყალით და თუ რამ განსხვავება არის მათ სახელ-წოდებაში, ამის მიზეზი ერთი ის იყო, რომ ძველიდგანვე გალცაკავებულნი იყვნენ მათ სამყოფ ადგილების ღირღოვანობით, და მეორე-კი ის გარემოება, რომ ადგილობრივს სახელ-წოდებას უცხო ერისა მწერალნი ყოველთვის თითქმის ამახინჯებდნენ და ამახინჯებენ. ყველაზედ უფრო დამარწმუნებელ მაგალითს წარმოადგენს ცვლილება ქართულ სახელ წოდებისა—მესხის, მესხეთის; ეს სიტყვა კლასიკურ მწერლებმა გადააკეთეს—„მოსოხ“-ად, ასსურელთ—მუსხ-ად, ეგვიპტელთ-მუშან-ად, ხოლო ძველს აღთქმაში იხსენება მესეხ-ად [6]) სახელ-წოდებანი: ილლიბი, ჰალიბი და ალბანი, ოპპერტის [7]) გამოკვლევით ერთი და იგივე ყოფილან. ძველთა-ძველი ქართული სიტყვა ისპირი, დღემდისაც დარჩენილი ჭოროხის ხეობაში, ჰეროდოტის თხზულებებში გადაკეთდა სასპირად, საბირ-ად. ზემოხსენებულნი ერნი, რომ თანამოგვარენი იყვნენ „ქართლოჲსიანთ“ ტომისა, ეს გარემოება არ შეადგენს ვისიმე კერძო მოსაზრებას, არამედ მტკიცდება სარწმუნო ისტორიულ საბუთებით. როგორც ძველადგანვე ქართული ტომის შტო, დაბინავებული მცირე აზიის მხარესკენ, იწოდებოდა „მოსოხ“-ად, აგრეთვე დღესაც ეს სახელწოდება შერჩენილი აქვს მას ჩრდილოეთ-დასავლეთის მხარეში—ლეკები დღესაც უწოდებენ თუშებს „მოსოხებ“-ად [8]). 500 წლის წინად ქრისტეს შობამდე ჰეკატე სწერდა, რომ კოლხები (მეგრელ-ჭანები) და ჰალიბები თანამოგვარე ერნი არიანო. ქსენოფონტი ევფრატის სათაურიდგან შავ ზღვამდის ყოველ თემს საერთოთ იხსენიებს ჰალიბების სახელწოდებით. თანამოგვარეობა ჰალიბების და ალბანებისა პირველად სტრაბონმა შენიშნა. [9]) ჰეროდოტი [10]) კოლხიდის და მიდიას შორის მცხოვრებთ ყველას აერთებს ერთის სახელით „სასპირები“. ტაციტის მოწმობით, კავკასიის ივერიელთ და ალბანელთ თავისი თავი ერთი შთამომავლობის ტომად მიაჩნდათ [11]).-დასასრულ, ისიც გავიხსენოთ, რომ იოსიპოსი პირდაპირ აცხადებს:—მოსოხ (მესხნი), თუბალნი (თიბარენი) და ივერიელნი თანამოგვარენი იყვნენო და მესხნი კაპპადოკიაში სცხოვრობდნენ და მათ იქ კაპპადოკიელებს უწოდებდნენო [12]).

აქედგან ცხადია, რომ ძველად-ძველი დროიდგან ქრისტიანობის პირველ საუკუნემდის მაინც ქართველ-მეგრელთ თანამოგვარე ტომის ყოფნას იმ ადგილებში, სადაც დღეს „ვანურ“ და მის მსგავს წარწერებს ჰპოულობენ, ისტორიული საფუძველი აქვს. რასაკვირველია, მარტოკა იქ ყოფნა იმ წარწერებს არ აკუთვნებს ქართველთა თანამოგვარეებს, თუ მათ საკმარისი სწავლა-წარმატება აკლდათ; მაგრამ ამ მხრივაც მიზეზი არ ჰქონიათ. აი ძველის ცნობების შემწეობით რას ამბობენ ახლანდელნი ევროპიელი მეცნიერნი, რომელნიც-კი შეჰხებიან ამ საგანს. „ჩვენ ვპოულობთ უეჭველ საბუთებს იმათის სწავლა-ხელოვნებისას; კლასიკურნი მწერალნი აქებენ იმათ სტუმართ-მოყვარეობას, შემწეობას, რომელსაც ისინი აღმოუჩენდნენ ზღვის ღელვით დაზიანებულებს; ჩვენამდე მოუღწევია ცნობას კოლხიდელ ფილოსოფოს მარსიას შესახებ; კოლხიდელებმა ყველაზე წინ შემოიღეს სახელ მძღვანელოდ რუქები, რომელიც მოგზაურებს უჩვენებდა გზის მიმართულებას და ნავთსადგურების მდებარეობას [13])... თუბალ—მოსოხნი და ჰალიბნი წარმოადგენდნენ დიდ ერს და ვრცელი ადგილი ეჭირათ მცირე აზიაში; უხსოვარ დროიდამ ისინი სახელ-განთქმულნი იყვნენ თავისის განვითარებულის მადნებისა და ლითონების შემუშავებით“ [14]).

უიულ სური უფრო შორს მიდის; მოსოხ-თიბარიანებს ის ჰხადის იმ ტომთაგანად, რომელთაც მთელის კაცობრიობის სწავლა-წარმატების პირველი ლამპარი აანთეს, რომელთაც დაამხეს მესოპოტამიაში ქუშიტნი და ევფრატ-ტიგრისის ქვემო ნაპირებზედ დააფუძნეს კალდეი, რომლიდამაც სიმითებმა და სიმითებისაგან არიელებმა მიიღეს პირველ-დაწყება სწავლა-ხელოვნებისა [15]).

ნუ თუ ამდენი ფილოლოგიური მსგავსებანი, ეტნოგრაფიული და ისტორიული ფაქტი ვერ შეადგენს საკმაო დამტკიცებას ქართულის ენის ნათესაობისას ვანური წარწერების ენასთან და მხოლოდ „ერთი და ორი“ შემთხვევითი მოვლენაა, როგორც ამას დაჟინებით გვიმტკიცებენ ვითომდა სამეცნიერო სიფრთხილის მიმდევარნი?

თათარყან დადიშკელიანი

დაბა ზესთაფონი.

---

[6]) ვ. დეს. მარტენი, ა. ჭყონიას „ისტ. ნარკვ“. გვერ. 94 და სხვ.

[7]) დ. ბაქრაძე. „ისტ. საქართ“., გვერ: 17.

[8]) უსლარი. უძველესი თქმულება კავკას., გვერ. 312.

[9]) იქვე, გვერ: 302 და 466.

[10]) ლატიშოვისა და განის „ძველი მწერლობა კავკაზზედ“.

[11]) განი. „უძველეს. თქმულ. კავკასიაზედ“, გვ: 116

[12]) უსლარი. გვ: 306—312.

[13]) კარ. რიტტერი.

[14]) ფრ. ლენორმანი და სხვები.

[15]) დ. ბაქრაძე. ისტ. ქარ., გვერ. 28.

ესსა რამდენიმე ცხენოსანი ქიშტები. მეჯოგეები მიიმწყვდიეს ერთს ადგას, ბერდანებით დაადგნენ თავს და უთხრეს: „არ გაიძრეთ, ხმა არ ამოიღოთ, თორემ გაგათავებთო!“ დანარჩენი გაირეკეს ცხენის ჯოგი. კარგა შორს მანძილს რო გაიცილეს ჯოგი, თორმეტი საუკეთესო ცხენები ამოარჩიეს, მეორე ამხანაგებმაც მეჯოგეებს თავი გაანებეს და დაემუქრნენ: „სანამ არ გათენდეს, მდევარი არ დაიძახოთ, თორემ კაი თქვენს დღესაო“. დაირეკეს 12 ცხენი და გასწიეს, დღესაც მიდის. კიდევ გაკიდა ორიოდ კვირა და სოფ. ზესდანში მიუცვივდნენ ერთს ოჯახს, რომლისაც ჯავრი სჭირებოდათ, სახლს ცეცხლი წაუკიდეს და გარს თავად შემოეწყრივნენ. ცეცხლი რომ გაძლიერდა ხალხი გამოცვივდა, მაგრამ ქიშტები ბერდანების სროლით არავის უშვებდნენ ახლოს, რომ ცეცხლის გასაქრობად რაიმე საშუალება ეღონათ, თავად ზესდანელებს კარგახანია იარაღი აყრილი აქვთ და ახა რითი უნდა გაეცათ პასუხი ქიშტებისათვის. სანამ თითონვე არ გაბრუნდნენ, ახლო ვერავინ მიუდგა ქიშტებს, სახლი რომ ჩაიბუგა, ქიშტებიც მაშინ-და გაუდგნენ არხეინად თავიანთ გზას.

სოფ. გიზელში ერთი სატრდაობა მოხდა: საქმე ასე იყო: ამ სოფელში მცხოვრებს ფხალაგოვს ეპოვნა მინდორში დაუცლელი ზარბაზნის ყუმბარა და მოეტანა შინ. ცოლს ბევრი ეშალა, ხელს ნუ ახლებო, მაგრამ, მისდა საუბედუროდ, ქმარს არ დაეჯერებინა ცოლის სიტყვა: ,,მე ამისთანაები ბევრი დამიცლიაო.“ მოენდომებინა წამლის გამოყრა, ამ დროს უცბად გასკდა თურმე ყუმბარა და როგორც ბურთი, ისე აიტაცა ჭერში საბრალო ფხალაგოვი, როცა ძირს დაეშვა, ერთი ხარმაყი და ერთი მხარე მოგლეჯილი ჰქონდა თურმე ყუმბარისაგან და თავიც დაჩეჩქვილი. საბრალო სრულად არა ჰსუნთქავდა.

სოფ. ელხოტში ამას წინად ერთმა ოსმა მოასწრო თავისს ოთახში თავისს მეზობელს, რომელზედაც ეჭვი ადო, რომ ჩემს ცოლს ეარშიყებაო. ქმარმა დაუპატიჟებელი სტუმარი იქვე მოჰკლა და გამოაცხადა, კაცი მოვკალიო.

ქართველი ოსებში

# უცხოეთი

—

**კრიტი.** ოსმალეთ-საბერძნეთის საქმე თავდება და ევროპის სახელმწიფოთ უკვე დაიწყეს ლაპარაკი კრიტის საქმეების მოწყობის შესახებ. ეჭვი არ არის, რომ ევროპის სახელმწიფონი, აქამდის ათჯერ მოაწყობდენ კრიტს, რომ ოსმალეთ-საბერძნეთის ომი არ ატეხილიყო. ევროპის მთელი ყურადღება ამ უკანასკნელმა მიიპყრო და კრიტის საქმეები ჯერ-ჯერობით გადაიდო. ეხლა-კი, როდესაც ზავი შეკრულ იქმნა ორ მეომარ სახელმწიფოს შორის, კრიტის საქმეებიის მოწყობას აღარაფერი დააბრკოლებს. პეტერბურგიდგან დეპეშით ატყობინებენ ,,ჰავასის სააგენტოს“, რომ ევროპის სახელმწიფონი უკვე შეუდგნენ მოლაპარაკებას კრიტის საქმეების შესახებაო. უმთავრესი საგანი, რომლის განხილვაში ეხლა ევროპის სახელმწიფონი არიან — ისეთის კაცის ამორჩევაა, რომელსაც კრიტის გენერალ გუბერნატორობა შეეძლება. ჯერ-ჯერობით არც ერთი კანდიდატი არ არის დასახელებული.

—

**საბერძნეთი.** იმისდა მიუხედავად, რომ საბერძნეთის სახელმწიფოს უმეტესობა ევროპის სახელმწიფოთა მიერ შემუშავებულის ზავის პირველ დაწყებით პირობების მიღების თანახმაა, მოწინააღმდეგენი მაინც თავისას არ იშლიან და ომს გაიძახიან. აი, რას იუწყება გაზ. „Journal des debats“-ი: ,,ომის მომხრენი ყოველ საშუალებასა ჰხმარობენ, რომ მთავრობას ზავის პირველ-დაწყებით ხელ-შეკრულების მიღებაზედ უარი ათქმევინონ. ამ დღეებში ისინი თანხმობის მოედანზედ შეიკრიბნენ. ექიმმა ბელლომ, ამ დასის წინამძღოლმა, და ზოგიერთმა სხვა ორატორებმაც სიტყვები წარმოსთქვეს, რომლებშიაც დიდის ზარითა და ზეიმით ამტკიცებდნენ, რომ ომი აუცილებლად საჭიროაო. „გაუმარჯოს ომს“-აოს ყვირილის დასასრული არა ჰქონდა. ერთი ორატორი, რომელმაც თავის სიტყვაში მეფე და ტახტის მემკვიდრე ცუდის სიტყვებით მოიხსენია, იძულებული გახდა დამალულიყო, რომ პოლიციას არ დაეჭირა და არ დაეპატიმრა. კრებამ დაადგინა, სთხოვოს მეფეს, რომ მან ომი განაახლოს. ერთი ასეთი კრება კიდევ იქნება ათინაში იმ დღეს რა დღესაც პალატა დაიწყებს მოქმედებას.

ამ-ს წინააღმდეგ როგორც იმავე გაზეთს ატყობინებენ, კალამატაში რამდენისამე ათასის კაცის კრებამ დაადგინა, გამოუცხადოს მეფეს და მთავრობას თავის ერთგულება და რწმენა, რადგან როგორც მეფე, ისე მთავრობა ყოველს ღონეს ჰხმარობს ისე მოაწყოს სახელმწიფოს საქმეები, როგორც სასურველი და ქვეყნისთვის უმჯობესიაო.

# დამაკვირდი

იმათ ადგილად შეუნდობთ, ვინც ბიწიერადა გვთვლის; მაგრამ იმათ-კი არასოდეს მოუურიგდებით, ვისაც უგულოდ მივაჩნივართ.

სუარდი

***

ვინც სისამაგლეს ენას უთმობს, ხელსაც ადვილად გაუწოდებს.

დეოლა-ბუისი

***

უარის შეთვლისათვის ტყუილად ჰხარჯავ მრავალს სიტყვას; ვინც იმას წაიკითხავს, „არა“-ს მეტს ხომ არაფერს მიაქცევს ყურადღებას.

გიოტე

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ვინ იტყვის, რომ ეხლანდელი რკინის გზები სასარგებლო არ არის ხალხისათვის. რა წუნს დასდებთ იმ მატარებელს, რომელიც საკმაო სისწრაფით მისრიალებს ლიანდაგზედ. მაგრამ, წარმოიდგინეთ, მაინც გამოჩნდნენ ისეთი კაცები, რომელიც სცდილობენ ეხლანდელ მატარებლებზედ უკეთესი მატარებელი გამოიგონონ. ერთი ამგვარი კაცი ყოფილა ინჟენერი სკოტი, რომელმაც სულ ახალი მატარებელი გამოიგონა, რომელიც თავის თავად დადის გზა-ტკეცილზედ. ამ მატარებლისთვის სრულიად არ არის საჭირო არც საგანგებოდ გაკეთებული ლიანდაგი, არც რელსები და არც სადგურები.

აი რა სწერია ერთს ფრანგულს გაზეთში ამ მატარებელზედ:

„სწორედ სასიამოვნო სანახავი იყო სკოტის მატარებელი, კურბერუას ქუჩებში მიმავალი. „ჩვენთვის, ე. ი. ფრანგებისათვის, სწორედ საუცხოვო სანახავია სკოტის მატარებელი, ნამდვილი მატარებელი, რომელიც გზა-ტკეცილზედ დადის და რომლისთვისაც არ არის საჭირო არც ლიანდაგი და არც რელსები.

მაგრამ ამ მატარებელს რომ ჰხედავს კაცი, გაოცებას თან მოსდევს მოწონება და აღტაცება. კაცი რომ ჰხედავს, როგორ დადის ეს მატარებელი, როგორ ადვილად ჩერდება, როგორ უვლის გზას, თუ ვინიცობაა გზაში ეტლი ან კაცი შეხვდა, ძალა-უნებურად სჯერა, რომ ამ მატარებლის მემანქანე სწორედ რომ ბატონია მანქანისა და მხედარი ისე ვერ წაიყვანს თავის ნებაზედ ცხენს, როგორც იმას მატარებელი მიჰყავს.

ამ გვარად ასეთის მატარებელის სიარულის დროს უბედურება არა მოხდება რა. ვიდრე ამ მატარებელს სახმარებლად შემოიღებდნენ, ჯერ გამოსცადეს, რამდენად გამოსადეგი იყო ეს მატარებელი. სკოტის მატარებელი დადიოდა ზამთარ-ზაფხულს საფრანგეთის 7 დეპარტამენტში 1896 წლის 3 ივლისიდგან 1897 წლის 25 აპრილამდე“.

ამ გამოცდამ დაამტკიცა, რომ სკოტის მატარებელი ისევე კარგადა და ადვილად დადის, როგორც კარგი ეტლი და აღმართზედაც შეუძლიან ასვლა.

აი რასა სწერს სკოტის მატარებელის შესახებ ერთი წევრი იმ კომისიისა, რომელმაც ეს მატარებელი გამოსცადა.

### გზაში

ქ. კურბეუდგან კოლომბში უნდა წავსულიყავით ამ ახალის მატარებლით. მატარებელს ველოდით მოედანზედ. აი, დავინახეთ, რომ გვიახლოვდება მატარებელი. ორთქლ-მავალის უკანა სხედან მემაშინე და მისი თანაშემწე. დანარჩენი ადგილი იმ მგზავრებისთვის არის, ვისაც მცირე ფასად უნდა წასვლა. მეორე ვაგონი პირველი კლასისაა. ორივე ვაგონი ყვითელის წამლით არის შეღებილი.

მატარებელი სწრაფად მოდის და განგებ უვლის გზაში შეხვედრილს ეტლებსა: ცხენები ამ მატარებლის დანახვაზედ არა ფრთხებიან, იმიტომ რომ სკოტის მატარებელი სიარულის დროს არა ხმაურობს, არც უსტვენს, არც ორთქლი მოჩანს და არც ბოლი.

მემანქანეს ვანიშნეთ, რომ მატარებელი გაეჩერებინა და იმ წამსვე გაჩერდა. ჩავსხედით და გავუდექით გზას. აგერ შარსას მოედანსაც მივაღწიეთ. მატარებელი გაჩერდა. ზოგი მგზავრი გადმოვიდა, ზოგი ჩაჯდა და ისევ გზას გავუდექით. თუ კარგი გზა გვედო წინ და არაფერი გვიშლიდა, მატარებელი სიარულს უმატებდა. თუ არა-და უკლებდა. აი ქალაქსაც გავსცდით და ეხლა ძლიერ მოუჩქარა, ვიდრე ქალაქ კოლომბს მივუახლოვდით. აქ ამ დღეს დოღი იყო და მრავალი ხალხი მოსულიყო, ზოგი ეტლით, ზოგი ცხენით, ჩვენი მატარებელი ეხლა სიფრთხილით უხვევს ეტლებს, მემანქანეს ისე ოსტატურად მიჰყავს, რომ სრულებით შიში არა გვაქვს, რომ ეტლს დავეჯახოთ, ხალხს ძლიერ მოსწონს ეს მატარებელი, რადგანაც ჯერ არც ერთი უბედურება არ შეჰხვედრიათ მგზავრებს. რაც შეეხება სიჩქარეს, ჩვეულებრივ მატარებელს არ ჩამოუვარდება“.

აი ქალაქი კოლომბიც. მგზავრები გადმოვიდნენ. ეხლა სხვები ჩასხდნენ და მატარებელი უკან დაბრუნდა.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

23 სექტემბერი.

**დარმშტატი.** ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფა იმპერატრიცა, დიდი ჰერცოგი მეუღლით და სხვა უავგუსტოესნი გვამნი, კრანიხშტეინის მთაზედ წაბრძანდნენ, ხოლო საღამოზედ სასახლის თეატრში წარმოდგენას დაესწრნენ.

**დარმშტადტი.** იმპერატორმა, იმპერატრიცამ, დიდმა ჰერცოგმა, დიდმა ჰერცოგინიამ და სხვა უავგუსტოეს გვამთ ლუიზენ-პლაცის სასახლეში პრინცესა ვიქტორია ბატენბერგთან ჩაი მიირთვეს.

გრაფი მურავიოვი ბადენ-ბადენში მიდის.

**ლონდონი.** გენერალი კიჩნერი დეპეშით იუწყება, რომ 11 სექტემბრიდგან ოსმან-დიღმას ჯარმა ომდურმანისკენ გაიწიაო. სუდანის ყველა ტომნი მახდისდებს დაშორდნენ.

**ათინა.** ფინანსთა მინისტრმა სტრეიტმა ჟურნალისტებთან ლაპარაკის დროს განაცხადა, რომ დაუყოვნებლივ შევუდგები მორიგებას ჩვენ უწინდელ მოვალეებთან და სესხის გამოცემას სამხედრო სასყიდელის გადასახდელად და შემდეგ ისევ ბანკის მმართველის თანამდებობას დავუბრუნდებიო.

**ბომბეი.** მოგზაური ჰენრი სავაჯ ლუოდარი ამაოდ ეცადა ლასსაში შესულიყო და იძულებული შეიქმნა უკანვე დაბრუნებულიყო. ლუოდარი თანამგზავრებითურთ ტყვედ ჩავარდნია ტიბეტელებს, რომელთაც ამათთვის სიკვდილით დასჯა გადაუწყვეტიათ, ხოლო შემდეგ უწამებიათ. ლუოდარი 22 ალაგას დაუჭრიათ და ისე განუთავისუფლებიათ.

**მადრიდი.** სამინისტრო შემდგარია ამ გვარად: პრეზიდენტად იქმნება საგასტა, გარეშე საქმეთა მინისტრად — გიულონი, სასჯულო საქმეთა მინისტრად — რომერო გირანი, სამხედრო მინისტრად — კორრეა, ზღვათა მინისტრად — ბერმეხო, ფინანსთა მინისტრად — ლოპეც პუიგერვერი, შინაგან საქმეთა მინისტრად — კაპდეპო, მუშაობათა მინისტრად კსიკვენი და ახალშენთა მინისტრად — მორეტი.

24 სექტემბერი

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატრიცამ მარია თეოდორეს ასულმა, დიდმა მთავარმა მიხეილ ალექსანდრეს ძემ და დიდმა მთავრინამ ოლგა ალექსანდრეს ასულმა იმოგზაურეს დანიაში და 23 სექტემბერს, ნაშუადღევის 3 საათზედ მშვიდობიანად მობრძანდნენ აბასთუმანში.

**ათინა.** პალატის კრება. დარბაზი ხალხით სავსეა. სმოლენსკის შემოსვლის დროს ტაშის ცემა ასტყდა. ზაილისმა განაცხადა მიზეზები, რომელთა გამოც საჭიროა პალატამ საქმის გარჩევა არ გადასდოს და ყველასა სთხოვა დახმარება. დელიანისი დაჰპირდა დახმარებას, ვიდრე სიხილის საქმე გადასწყდებოდეს. შემდეგ კრება დაიშალა.

## წერილი რედაქციის მიმართ

(ფილიპე ხელაძის პასუხად)

გაზეთ „ივერიის“ მე-177-№-ში წავიკითხე წერილი დ. ლანჩხუთის აფთიაქის შესახებ. როგორც მმართველი ლანჩხუთის აფთიაქისა, მოვალედ ვრაცხ ჩემს თავს მივცე პასუხი ბ. ფილიპე ხელაძეს.

წარსულს თვეს, აფთიაქში, როდესაც ოთხი-ხუთი წამლების მყიდველიც სხვა იყო, შემოვიდა ვიღაც უცნობი, „პიჯაკში“ ჩაცმული კაცი, რომელმაც რუსულად მომმართა: „Дайте на 20 к. хининъ и на 5 коп. цинковую мазь“; ვუთხარი, ეხლავე მოგართმევთქვა. ამავე დროს ბევრად ადრე იყვნენ მოსულნი სხვები, რომელთა შორის ზოგის წამლები დამზადებული მქონდა და ფულიც მიღებული. ამიტომ ბ-ნ ხელაძეზედ წინ ორი კაცი სხვა გავისტუმრე, ასე რომ, იმას დააგვიანდა სულ რვა ან ათი წუთი. როდესაც მე თითონ ვაპირებდი გასტუმრებას ბ-ნ ხელაძისას, იმ დროს თითონ მითხრა: „ძალიან მეჩქარებაო“. მე დაუყოვნებლივ მივართვი ქინაქინა 20 კ. და ცინკის მაზი 5 კ. ამის შემდეგ ქართულად მითხრა: „მე გითხარით, შეზავებული ქინაქინა და არა ფხვნილიო“. ვუპასუხე, ადრევე გარკვევით გებრძანებინა და მოგართმევდით, რადგანაც ასე გეჩქარებოდათ-მეთქი. ამ პასუხმა გააგულისა: „რას მიწყრებიო, მე ბევრი მინახავს თქვენისთანა მეაფთიაქე და აფთიაქიო“. ვუთხარი, არაფერი გასაწყრომი არა მაქვს-რა, რაც მიბრძანეთ მოგართვით; თუ თქვენ ჩემისთანა მეაფთიაქე და აფთიაქი ბევრი გინახავს, მე თქვენისთანა წამლის მყიდველი უთვალავი მინახავს მეთქი. ამ სიტყვების შემდეგ გავარდა გარეთ და ორის ან სამის საჟენის მანძილი რომ გაიარა, დაიწყო უშვერის სიტყვებით ლანძღვა-გინება. ამის შემდეგ ბ-ნმა ხელაძემ „ივერია“-ში გამოაქვეყნა, ვითომ 20 კ. შემზადებული ქინაქინა არ მივეცი. კარგად უნდა იცოდეს, რომ რაც შესაძლო იქნება აფთიაქიდგან წამლის მიცემა, ვალდებულიც ვართ, უნდა მივყიდოთ არამც თუ 20 კ., არამედ 5 კ., და რაც არ შეიძლება, არც ერთის მანეთისას მივცემთ. რაც შეეხება დაგვიანებას, დიდს აფთიაქებშიაც, სადაც რამდენიმე პროვიზორი და პროვიზორის თანაშემწეები არიან, აგვიანებენ ნახევარ ან ერთს საათს წამლების დამზადებას და ჩვენ სოფლის აფთიაქში, სადაც დიდს მუშაობას ერთი კაცი ვუძღვები სიღარიბისა და თან წამლების მცირედის მოთხოვნილებისა გამო, ყველას ერთბაშად დაკმაყოფილება როგორ უნდა შევიძლოთ. უპირატესობა აქვს ბ-ნ ხელაძეს, რომ შემოსვლისთანავე ის გაგვესტუმრებინა, როდესაც სხვები იმაზედ უფრო ადრე იყვნენ მოსულნი?

იგი სწერს: „მეშინოდა, რომ მატარებელს არ გაესწრო ქუთაისისაკენაო“. რა ვიცოდი, ქუთაისში მიეჩქარებოდა თუ არა; თუნდა არ აჩქარებულიყო, რა საჭირო იყო ბ-ნი ხელაძე ჩემთვის და რად დავაგვიანებდი, რომ შესაძლო ყოფილიყო იმ წუთშივე წამლის მიცემა. იგი ამბობს, ვითომ ჩემის ბრძანებით ჩემმა ბიჭმა წამლების მზადება დაიწყო და წამლები რომ ჩაურია მის მიერ დაკვეთილ ქინაში, მე თვალი შევასწარი და ჩურჩულით ვუთხარი: „Этимъ можно отравиться“-ო. ნუ-თუ იმდენად სულელი გამხადა ბ-ნმა ხელაძემ, რომ ჯერ შევცდი და მერმე ხალხში დავუწყე ბიჭს ჩურჩული, მით უმეტეს, რომ ბ. ხელაძემ ორეოდე რუსული სიტყვა იცოდა. ის მაინც როგორ არ გაუგონია ბ-ნს ხელაძეს, რომ საწამლავები აფთიაქში არ ჰყრია, ცალკე გვაქვს დაკეტილი და ბიჭები ვერ აიღებენ გულითაც რომ უნდოდეთ, არა თუ შემთხვევით და შეცდომით.

ჩვენს ლანჩხუთში, თუ მეტი არა, 1,000 კაცი მაინც იქნება, რომლებმაც ბ-ნ ხელაძისთანა წერაც იციან და კითხვაც და თითოეულს 15-ჯერ მაინც უყიდნიათ ჩვენს აფთიაქში წამალი, მაგრამ არავის მათგანს აფთიაქზედ საყვედური არ განუცხადებია იმის შემდეგ, რაც მე ლანჩხუთის აფთიაქის მმართველი ვარ. ბ-ნ ფილიპე ხელაძეს ერთჯერ „შემთხვევით“ მოუხდა შემოსვლა ჩვენს აფთიაქში და ყოველივე ავი რაღა იმასთან ჩავიდინე?!. ნუთუ დასაჯერებელია ესა? ან რა დასაჯერებელი იქნება იგი, როდესაც სრული სიცრუეა, შეთხზული ბ-ნ ხელაძის მიერ *).

ლანჩხუთის აფთიაქის მმართველი ნესტორ მხეიძე

*) ამითი ვსპობთ ამ საგნის შესახებ ყოველსავე კამათს. რედ.

Дозволено цензурою, Тифлисъ 24-го Сентября 1897 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.